

## მონიტორინგის მთავარი მიზნები

21 ივლისი- 3 აგვისტოს პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- როგორც სიძულვილის ენას, ასევე ძალადობისკენ მოწოდებას კვლავ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ტრადიციული რესპონდენტები (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; რეზო ამაშუკელი, პოეტი) მიმართავდნენ;
- რუსოფობიულ განცხადებას (დიმა ობოლაძე, რუსთავი 2-ის სპორტული კომენტატორი) უკრაინის ტერიტორიაზე მალაიზიური თვითმფრინავის ჩამოგდებასთან მიმართებით ჰქონდა ადგილი;
- ქსენოფობიური დამოკიდებულებები დომინირებდა გაზეთ "რეზონანსის" მიერ მომზადებულ გამოკითხვაში, რომელიც სავიზო რეჟიმის გამკაცრებას უკავშირდებოდა;
- არმენოფობიის წყარო, როგორც მედია (გაზეთი "ასავალ-დასავალი"), ასევე რესპონდენტი (ალექსანდრე

აბდალაძე, ისტორიკოსი) იყო;

- ჰომოფობიურ განცხადებებს ძირითადად საოპერო მომდერალ თამარ ივერის მიერ სიძულვილის ენის შემცველი მისი ადრინდელი განცხადებების გამო ბოდიშის მოხდის და ანაკლიაში კაზანტიპის ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი. ეს უკანასკნელი გაიგივებული იყო როგორც ჰომოსექსუალობასთან, ასევე მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად;
- ანტიდასავლური განწყობები ძირითადად ასოცირების ხელშეკრულების შესახებ დაუსაბუთებელ საფრთხეებზე აპელირებას, ასევე კაზანტიპს, როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ მოვლენას უკავშირდებოდა.

## # 21, 21 ივლისი-3 აგვისტო



### შინაარსი

სიძულვილის ენა	2
ძალადობისკენ მოწოდება	2
ქსენოფობია	3
არმენოფობია	3
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	4
ჰომოფობია	4
კვირის თემა—კაზანტიპის ფესტივალი	5
ანტიდასავლური განწყობები	6-7

## რეაგირება

29 ივლისი, 2014

განცხადება მარიამ კოჩალაძის მკვლელობის ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქების და ოფიციალური გამოძიების შესახებ საზოგადოების ინფორმირების აუცილებლობის შესახებ

გვინდა გამოვხმაუროთ ქართულ მედიაში მარიამ კოჩალაძის გახმაურებული მკვლელობის ფაქტის სპეკულაციურ გაშუქებას, რაც ერთ წელზე მეტია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში პერიოდულად იჩენს თავს და ქსენოფობიურ ხასიათს ატარებს.

2013 წლის 22 ივლისს ქალაქ ბათუმში იპოვეს გარდაცვლილი მარიამ კოჩალაძე, რომლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, გამოძიების წინასწარი ცნობით, უცხო ქვეყნის, კერძოდ ირანის მოქალაქე იყო. ეჭვმიტანილის იდენტობის საფუძველზე, ოჯახის წევრები და ახლობლები მკვლე-

ლობის რელიგიურ მოტივზე აკეთებდნენ აპელირებას, ხოლო მედია ემოციურ ფონზე გაკეთებული ამ განცხადებების ტირაჟირებას ცალმხრივად, გადამოწმების გარეშე ახდენდა. გახმაურებული მკვლელობისადმი მალაი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ისლამოფობიურ კონტექსტში ინციდენტის გაშუქება საზოგადოებაში ამ განწყობებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

2014 წლის 24 ივლისს ინტერნეტ პორტალმა ამბები.ge-მ გამოაქვეყნა ჟურნალ "სარკის" მიერ მომზადებული მასალა, რომელიც ერთ წყაროზე, გარდაცვლილის ნათლიაზე დაყრდნობით ავითარებს აზრს, თითქოს მკვლელობა რელიგიური მოტივით მოხდა (ე.წ.

გაგრძელება გვ. 8

## სიკუფილის ენა

ასაგალ-ღასაგალი, 21-27 ივლისი

**ელიზბარ ჯავმელიძე, სახალხო კრება:** "საქართველოში უნდა ჩატარდეს დიდი დეზინფექცია, რათა ქვეყანა გაიწმინდოს ნაცებისა და მათი თანამოაზრე ლიბერასტების ბაცილებისგან!"

## პალალოზისკენ მოწოდება

ასაგალ-ღასაგალი, 21-27 ივლისი



**რეზო ავაშუკელი, პოეტი:** „მე მივმართავ სვანებს - პირდაპირ გეუბნებით, აღარ მჯერა მე თქვენი ვაჟკაცობის, მიუხედავად იმისა, რომ სვანები ძმები მყავს ბევრი! როგორ ალაპარაკებთ ამდენი ხანი ამ მკვლელ ბარამიდეს?! ნახევარი სვანეთი ამოწყვიტა და მამა-პაპათა ძვლები საფლავეებიდან ამოგიყარათ!“

## ქსენოფონია

### ასავალ-დასავალი, 21-27 ივლისი

#### დიმარ ოპოლამი, რუსთავი 2-ის სპორტული

**კომენტატორი:** „ღორები“ [რუსები] არიან „პროსტა“, უბრალოდ შეცდომა დაუშვეს, თურმე ბიჭებმა, ეს ქვეყანა, წელანაც ვამბობდი, უკვე აღარც მჯერა, რა, რომ მორაგებები ჯიგრები არიან. სიტუაციაში თუ ჩავარდა, ყველა ეგეთი არი, რა, მე დარწმუნებული ვარ. რუსული სიტყვა არ გავიგონო აქ ჩვენ ეთერში საერთოდ არცერთი, რა. ღორების ქვეყანა“.

### კვირის ქრონიკა, 21-27 ივლისი

#### გიორგი ბურჯანაძე, ანტიკორუფციული

**კავშირი:** " ჩემთვის გასაგებია, როდესაც თბილისელი ოჯახი წუხს იმაზე, რომ სახლში ჰყავს პატარა გოგონა და ემინია მისი გარეთ გაშვების. როცა „პლენანოვი“ გადაძეგვილია უცხოელებით, არ მაქვს უფლება, ჩემს შვილებთან ერთად გავისეირნო ქუჩებში..."

რატომღაც მუსლიმანებმა სწორედ რომ პლენანოვი აიტაცეს, ირანელები, ინდოელები და არაბები სწორედ რომ ამ ქუჩას ეტანებიან..."

თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ წინა დღეს ჩვენ დავდეთ კომპოზიტორთა კავშირში არსებულ ვითარებაზე მასალები და მეორე დღეს არა-

სრულწლოვანი ბიჭის გაუპატიურება მოხდა. ის ერაყელი, თუ გახსოვთ, აქედან გააპარეს".

### რეზონანსი, 24 ივლისი

**ნიკა კოსოპი, რესპონდენტი:** "უცხოელების პარპაშია დღეს ჩვენს ქვეყანაში... აღმამენებლის გამზირი თურქების სამფლობელო გახდა. მალე ჩვენი ადგილი აღარ იქნება."

### ნიკა რამიშვილი, რესპონდენტი:

"...წაგვლეკეს ჩინელებმა, თურქებმა და ირანელებმა."

**ლალი გიგაური, მოქალაქე:** „ეს შერეული ქორწინებების საკითხიც გვაწუხებს. ყველა თავის ქვეყანას დაუბრუნდეს. რა გამოდის, ჩვენები მიდიან, ჩინელები, პაკისტანელები, ინდოელები და ათასი რჯულის ხალხი ჩამოდის“.

**ნათია კილაძე, მოქალაქე:** „ვარკეთილი მი-აქვს ინდოელებს... მეზობლად უკვე იმდენი შავკანიანი მყავს, ადრე ამას ვერც წარმოვიდგენდი... თან ისე აიწყეს ცხოვრება, ქართველები მონებად დაიყენეს“.

## არამენოფონია

### ასავალ-დასავალი, 28 ივლისი – 3 აგვისტო

ჟურნალისტის სტატია აკრიტიკებს კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის შეფასებას, რომლის თანახმად, "თბილისი ყოველთვის სომხური ქალაქი იყო და ის სომხების აშენებულია". (" სომხების გარემოცვაში გავიზარდე, თბილისელი სომხები მშენებლები, ხელოსნები, ხელოვანები და ქველმოქმედები არიან. მათ საოცარი ქალაქი ააშენეს, არაჩვეულებრივი! მერე კი მოვიდნენ მდაბიოები, სოფელი და, სამწუხაროდ, სომხები წავიდნენ.“)

**დიტო ჩუბინიძე, დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** „ბატონო ოთარ, თქვენ ისეთი რამ თქვით, რის გამოც 1936 წელს ლავრენტი ბერიამ სომხეთის ცეკას პირველი მდივანი ალასი ხანჯიანი თავის კაბინეტში დახვრიტა!..“

თქვენ მშვიდად იყავით ბატონო ოთარ, დღეს არც ბერიანა ცოცხალი, არც სტალინი და არც ისეთი ქართველი დადის ამ დაცვედნებულ საქართველოში, ვინც გამირთავმირი დავით აღმაშენებლის სათაყვანებელი და საფიცარი თბილისის „გასომხურებისთვის“ ტყვიას გვრავთ შუბლში და ნაჯახით გამოგვიკიდებათ!“

### GEWORLD.GE, 23 ივლისი

სათაური: „სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ“

**ალექსანდრე აბდლაძე, ისტორიკოსი:** „სომხური ეკლესია და, საერთოდ, სომეხი ხალხი, ქართველების მიმართ გამუდმებით იჩენენ უმადურობას...“

სომხურმა ეკლესიამ მოახერხა ქართველთა ერთი ნაწილის შევიწროება და გასომხებაც კი...

სომხურ-ქართული ურთიერთობების გამწვავებაში სომხურ ეკლესიას ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდა... ამისთვის კი საჭიროა ქართული ეკლესიის დასუსტება, სწორედ ამიტომ ითხოვენ დღეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობის დადასტურებას. საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნიდან სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევ...

ბევრი თვლის, რომ ქართველებს სომხებზე დიდი მტერი არ გყავს.“

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6072>



### დიტო ჩუბინიძე, დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:

„თქვენ მშვიდად იყავით ბატონო ოთარ, დღეს არც ბერიანა ცოცხალი, არც სტალინი და არც ისეთი ქართველი დადის ამ დაცვედნებულ საქართველოში, ვინც გამირთავმირი დავით აღმაშენებლის სათაყვანებელი და საფიცარი თბილისის „გასომხურებისთვის“ ტყვიას გვრავთ შუბლში და ნაჯახით გამოგვიკიდებათ!“

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 26 ივლისი

**ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]:** "ჩვენ ქრისტიანები არა ვართ, მაგალითად, იმისთანა ბარბაროსები, როგორც იტყვიან, ფანატი მუსულმანები და იქ კუკლუქს კლანები მოვუწყოთ და ინკვიზიციები ჩავუტაროთ, მაგრამ ინკვიზიციას ისინი სხვანაირად მიიღებენ და მე ამის, მაგალითად, მოწინააღმდეგე ვარ."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2384335](http://www.myvideo.ge/?video_id=2384335)

### ჰომოფობია

ალია, 25 ივლისი

**ვალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტები:** "მე არ ვიცი ვასაძის ზრახვები, მაგრამ ფაქტია, ჰომოსექსუალისტებისა და გარყვნილების წინააღმდეგ რომ გამოჩნდა, მოედანი არასწორად აირჩია. ამსტერდამის ღამის ბარებში რომ „გრიალებს“, იქ რატომ არ ებრძვის ჰომოსექსუალისტებს?"

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 31 ივლისი

**ჯონი ბაღათური, ბურჯანაძე-ერთიანი**

**ოპოზიცია:** „ამ კანონის [ანტიდისკრიმინაციული] მიხედვით, ჰომოსექსუალებს მიეცათ უფლება, რომ იმუშაონ ბაღში აღმზრდელებად. სკოლებში პედაგოგებად. რაც დაუშვებელი იყო. მე მოვითხოვდი ამის აკრძალვას. არმია პენიტენციულ სისტემაში, არმიაში და შსს-ში... მწყემსის ვალდებულება არ არის, რომ მგელს არ ჩაუდოს ხელში კრავი ხომ?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386421](http://www.myvideo.ge/?video_id=2386421)

GEWORLD.GE, 23 ივლისი

**მმრავ შათირიშვილი, ქართული სინამდვილე,**

**ერისკაცთა სათათბირო:** "პირდაპირ ვამბობ მათ გასაგონად, ვინც სათავეში უდგას ამ ბნელ და ცოდვით სავსე კასტას ლგბტ: საზოგადოების [მოთმინებას აქვს საზღვარი და ერთხელაც იქნება, ერთ აფეთქდება... ის [თამარ ივერი] თუ მართლა აპირებს ამ ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად კონცერტის ჩატარებას, მე მას მოვუწოდებ თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ ივერის გვარი გამოიცვალოს... სანამ კანონით განისაზღვრება ამ ე. წ. უმცირესობების უფლებები, ვიდრე ოფიციალური სახე მიეცემა ამ მომავლინებელ ცოდვას, მანამდე საჭირო ბრძოლა... როცა ამ საფუძველს შეამზადებენ, მერე უკვე ერთსექსიანთა ქორწინებასაც დაგიკანონებენ, ადლუმებსაც ჩაგიტარებენ და ხმას ვერ ამოიღებ."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6071>

ასავალ-დასავალი, 21-27 ივლისი

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** "თამარ ივერმა თქვა ის, რასაც ფიქრობს, გრძობს და განიცდის საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტი... რომ დაუშვებელია ამ უმძიმესი ცოდვის პროპაგანდა და გაუკუღმართებული სექსუალური მიდრეკილებების ბუნებრივ ნორმად წარმოჩენა..."

დიახ, სოდომ-გომორული ცოდვის მქადაგებელთა უფლებები მდგარა ყველაფერზე მაღლა - ღმერთზე მაღლა, ეკლესიაზე მაღლა, ოჯახზე მაღლა, უმრავლესობის უფლებებზე მაღლა, ჯანსაღი ადამიანების სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მაღლა, უმაღლეს ხელოვნებაზე მაღლა!

როგორც ჩანს, დღეს მსოფლიოსთვის უმაღლესი ღირებ-

ულება არის პედერასტია და არა - ჭემმარტი ხელოვნება!"

ასავალ-დასავალი, 21-27 ივლისი

**გიორგი ბიგაური, ჟურნალისტი:** „კონჩიტას სახელით ცნობილი სიბილწის საკუთარ ქვეყანაში დამწვევა ისეთივე სამარცხვინო და თავმოსაჭრელია, როგორც მაგალითად, დედაქალაქის მთავარ გამზირზე გეი-ლუმის ჩატარება!

დიახ. რა განსხვავებაა, შენი ქვეყნისთვის საამაყო საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსს კოჩიტა წაგებილწავს თუ დედაქალაქის მთავარ გამზირზე - პედერასტების მარში?!..

ამ გაურკვეველი სქესობრივი წარმომავლობის არსებას, აკი, იმიტომაც გაამარჯვებინეს საერთო ევროპულ „ევროვიზის“ კონკურსში, რომ ამით მთელი ამ უზარმაზარი ევრაზიული სივრცისთვის „ახალი ლგბტ ეპოქის“ დასაწყისი ემცნო!"

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 31 ივლისი

**ბონდო მინარაშვილი, წამყვანი:**

„ბერლინის მერი იყო ჰომოსექსუალი... პარიზის მერი კი ბატონო, ახლა საქართველოში უკაცრავად არასწორი შედარებაა რასაკვირველია, მაგრამ არათბილისელის მერად არჩევას რამხელა წინააღმდეგობა შეხვდა, ახლა ჰომოსექსუალის მერად არჩევა როგორ წარმოგიდგენიათ?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386426](http://www.myvideo.ge/?video_id=2386426)

ასავალ-დასავალი, 28 ივლისი-3 აგვისტო

**გიორგი ბიგაური, ჟურნალისტი:** „ანუ, საქართველოსი არ იყოს, მოდლოვაში „გეი“, „ლესბოსელი“ და ასე შემდეგ, უკვე ნორმაა და არა რაღაც არალეგიტიმური და კანონგარეშე! მოკლედ, ეს ყველაფერიც სწორედ იმიტომ კეთდება, რომ ერთსექსიანთა ოჯახების მიერ აყვანილ ბავშვებს პრობლემა არ შეექმნათ იმის გარკვევაში, მათი პედერასტი ან ლესბოსელი მშობლებიდან, ვინაა „დედა“ და ვინ „მამა“!.. ამიტომ უპრიანია, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლებისგან ხალხმა ის კი არ მოითხოვოს, ევროასოცირებულებს, ცნებები „დედა“ და „მამა“ არ გაგვიუქმეთ, არამედ პირიქით, მიაღწიოს, რომ პიროვნების დამადასტურებელ მოწმობაში აღდგეს მამის სახელის გრაფა!"



## კვირის თემა – კაზანტიპის ფესტივალი

### ოპიქტივი, ღამის სტუდია, 31 ივლისი

**ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:** "გეი აღლუმი ხომ არ გამოუვიდათ. აქ არიან გეებიც, ჰეტერო, ოღონდ მრუშებიც, და ნარკოტიკების მომხმარებლები. ეს არის გარყვნილების ზეიმი უბრალოდ... ეს არის გახრწნილების ცოდვის ზეიმი რა და რატომ უნდა იყოს მაინცდამაინც საქართველო ამ ცოდვის ზეიმის ადგილად მიჩნეული."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386423](http://www.myvideo.ge/?video_id=2386423)

### რეპორტიორი, 31 ივლისი

**ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:** "ეს ფესტივალი, იდეოლოგიურ პროპაგანდისტულ მნიშვნელობას ატარებს და გულისხმობს, გარყვნილების, ცოდვის ზეიმს, სადაც წახალისებულია მრუშობა, ჰომოსექსუალიზმი და ნარკოტიკების მოხმარება."

<http://reportiori.ge/?menuid=3&id=34715>

### ინტერპრესნიუსი, 25 ივლისი

**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „კაზანტიპი მიმართა სექტანტურ ორგანიზაციად, ამ ტიპის ღონისძიებებს რაღაც ძალა მფარველობს, მე არ მინდა მისტიციზმებში გადავვარდე, რომელიც მართავს ყველაფერს, მათ შორის ჩვენს პოლიციასაც.“

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/291382-levan-vasadze-qkazantipisq-chatareba-mikheil-saakashvilis-ocneba-iyo.html?ar=A>

### ალია, 30 ივლისი

**გიორგი რაზმაძე, დეკანოზი:** "ყირიმი, სადაც ეს ურჯულო ხალხი ორგებს დგამდა, სამუდამოდ დაიკარგა, ახლა რა უნდათ? ანაკლიაც დაეკარგოთ?"

### პრაიმ ტაიმი, 28 ივლისი

**საირიფონ აბულაძე, მეუფე:** "ეს არის საშინელი, გარყვნილი ხალხი, ყველანაირი ცოდვის მოქმედი, პირდაპირ აჩვენებენ ტელევიზორში ჰომოსექსუალისტურ კადრებს, რომელიც ხდებოდა ყირიმში ამ ე.წ დღე-სასწაულებზე, ანუ უკუღმართობებს ატარებდნენ. პირდაპირ აჩვენებდნენ კადრებში კაცის კაცთან გათახსირებულ ყოფნას, ქალის ქალთან გარყვნილ ყოფნას, ნარკოტიკების მიღებას, რეკლამა ეს ამის..."

[http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine\\_id=393&topic\\_id=9453#.U99TAfmSy30](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=393&topic_id=9453#.U99TAfmSy30)

### ინტერპრესნიუსი, 2 ივლისი

„არქიმანდრიტ ანთიმოზის შეფასებით, რაც მოხდა 17 მაისს და რაც ხდება „კაზანტიპზე“, ეს არის თავს მოხვეული იდეოლოგია საქართველოს მიმართ.“

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/292357-sasuliero-pirebis-organizebith-anakliashi-qkazantipisq-satsinaaghmdago-aqcia-gaimartheba.html?ar=A>

### ალია, 31 ივლისი

**მისიქილ ანდლუაძე, „სოლიდარობა“:** „მთელ მსოფლიოში ყველა დიდი წინაღობა წარმოდგენილია მართლმადიდებლობის სახით, ჩვენი ტრადიცია ეს პირდაპირ მიზნულია რელიგიურ ცნობიერებას. ყველანაირად მიზანმიმართულად მიმდინარეობს ბრძოლა, ეს ფესტივალიც ამ ბრძოლის ნაწილია.“

### კვირის ქრონიკა, 21-27 ივლისი

**გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:** "წინა კვირას მამა დავით ქვლივიძემ მეტად საყურადღებო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ეს არის სოდომ-გომორული ცოდვის აპოკალიფსები საქართველოში, რასაც ყირიმის მაგალითიც აჩვენებს."

ცხადია მესაჯდომე ლიბერასტებს ეს განცხადება სასაცილოდ არ ეყოთ და სერიოზულად არ მიუღიათ...

ათი დღე საქართველო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ალჟაჯების, ლესბოსელების, ჰომოსექსუალებისა და ათასგვარი გადახრების მქონე ადამიანების თავშესაყარი გახდება."

### რუსთავი 2, კურიერი, 26 ივლისი

**ბემა სნილაძე, აქციის მონაწილე:** "ეს არის ერთსქესიან წყვილთა თავშეყრის ადგილი, ქართულ მიწაზე მათ თავშეყრას არ დავუშვებთ..."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2384177](http://www.myvideo.ge/?video_id=2384177)

## ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 21-27 ივლისი

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია:** "ის, რაზეც ჩვენმა ხელისუფლებამ ასე ალტკინებით მოაწერა ხელი [ასოცირების ხელშეკრულება], არის სახელმწიფო დანაშაული! დიახ, ეს ქართული სოფლისა და ეკონომიკის „ევროპულად“ განადგურებას ნიშნავს!"

ობიექტივი, ღამის სტუდია, 31 ივლისი

**ჯონდი ბაღათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:** „და შენ ცუნდრუკით შერბიხარ სადღაც იმის გამო, რომ თავზე მოგახვიონ გეების ალუმუმები და კაზანტიპები და რაღაც უბედურებები და არ იცავ საკუთარ ბაზარს.“

...და ჩვენ ამ გადანაწილებაში მაინცდამაინც უნდა ჩაგვყლაპოს ვინმემ? ან წითელმა რუსეთმა ან რა ქვია გეების ევროპამ? გეებზე ორიენტირებულმა ევროკავშირმა?..

მაგრამ საქართველო ამყარებს სწორედ ევროპის იმ ნაწილთან კავშირს, რომლისთვისაც გეის ყველაზე მთავარი მნიშვნელობა აქვს."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386411](http://www.myvideo.ge/?video_id=2386411)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386413](http://www.myvideo.ge/?video_id=2386413)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2386416](http://www.myvideo.ge/?video_id=2386416)

პრაიმტაიმი, 28 ივლისი – 3 ავგისტი

**ლევან მასაძე, ბიზნესმენი:** "იმ ევროპაში, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინება დაშვებული, მე არაფერი მესაქმება, არც ჩემს ცოლს, არც ჩემს შვილებს, არც ჩემს სამეგობროს და თუ გამოვლენ და მეტყვიან, რომ ესაა ჩვენი სტანდარტი და თუ გინდათ ჩვენთან მოხვიდეთ, ასეთები გახდითო, ჩვენ ვეტყვით, გვაპატიეთ, გვეგონა, რომ ევროპა რაღაც სხვა იყო. ევროპაში შევალთ ან ღირსეულად, ან არ შევალთ საერთოდ. დამერწმუნეთ, ღირსება აყრილ, ყველაფერზე დამთანხმებელ სუბიექტს ევროპაში კი არ დაიცავენ, არამედ ლაქიად აქცევენ..."

[http://ptpress.ge/index.php?](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=393&topic_id=9453#.U99TAfmSy30)

[year=2014&magazine\\_id=393&topic\\_id=9453#.U99TAfmSy30](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=393&topic_id=9453#.U99TAfmSy30)

ალია, 30 ივლისი

**ბიორბი რაზმაძე, მღვდელი:** „რას ითხოვს ევროკავშირი საქართველოსგან? რომ ურჯულოებაზე გადიოდეს ევროპისკენ მიმავალი გზა? ეს არის საოცნებო გზა? თუ ასეთია ევროპა, ვის რაში სჭირდება ასეთი გათახსირებული პარტნიორი?..“

ხალხს კი შევასხენებ, რომ ასეთი „კაზანტიპის“ მსგავსი შოლები იდგმებოდა სოდომ გომორში და დედაშვილთან, კაცი-კაცთან და-მმასთან ცხოვრობდა. დღეს ეს მიწა იწვის.“

ალია, 30 ივლისი

**შანა ასანიძე, ჟურნალისტი:** „მამაო [მიმართავს

გიორგი რაზმაძეს], ბოლო დროს ბევრი საუბრობს იმაზე რომ ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ ბევრ „არატრადიციულ“ კანონს მიიღებენ, რადგან ეს არის ვალდებულება. ხოლო „კაზანტიპი“, რომლის აკრძალვის მოთხოვნითაც პრემიერს პეტიცია გაუგზავნეს, სწორედ ასოცირების ხელშეკრულების შედეგიაო.“

GEWORLD.GE 25 ივლისი

**იზა თამაზაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე:**

"ევროპა ზნეობრივი ნორმებიდანაც თავისუფალია – სწორედ მათი ძალისხმევით მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი...“

არაერთვულ პოლიტიკანებსა და უცხოელთა ინტერესებს ეწირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ინტერესებიც და ის საჯიშე ბიჭებიც, უცხოელთა გულის მოსაგებად რომ იგზავნიან ავღანეთსა თუ აფრიკაში. ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერი ახალგაზრდა პრემიერიც შეწირულია მავანთა ინტერესებს. არადა, გენეტიკურად ვერძნობ, მას ქართული სული აქვს და ქართული საქმის კეთება უნდა."

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6080&lang=ge>

GEWORLD.GE, 23 ივლისი

**მირაბ შათირიშვილი, ქართული სინამდვილე, ერისკაცთა სათათბირო:** „აქვე მინდა ვკითხო ამერიკის ელჩს, ბატონო ნორლანდს, რომელიც, როგორც ვიცი, ერთ-ერთი პირველი დამცველია ამ სექტანტების [იეჰოვას მორწმუნეები]: ბატონო ელჩო, გასაგებია, რომ ეს სექტა დაკანონებულია საქართველოში და არც არავინ ეხება მათ, მაგრამ რატომ მითარგმნის ისინი ამ თავიანთ ე. წ. რელიგიურ ლიტერატურას კუთხურ ენებზე [მეგრული, სვანური] და რატომ მიღვივებენ სეპარატიზმს?!"

...20 ათასიდან 40 ათასამდე იეღოველია უკვე ამ ქვეყანაში და, ბატონო ელჩო, მილიონი რომ გახდებოდა, არ-ჩვენები არ ჩავატაროთ საერთოდ?! ჯარი არ გვყავდეს?! აღარ გინდათ: მერე ავღანეთსა და აფრიკაში ნატოს ეგიდით ჩვენი შეიარაღებული ძალები თქვენ გვერდით დადგეს?!"

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6071>

ალია, 1 ავგისტი

**ლევან ჩაჩუა, პოლიტაპტიმრის სტატუსით**

**გათავისუფლებული პირი:** "ევროპაში უკვე მიდის საუბარი პედოფილიისა და ინცესტის სექსუალურ ორიენტაციად გამოცხადებაზე და ჰომოფობიის მსგავსად უკვე გაჩნდა ტერმინი - ინცესტოფობია.“

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 6

### საქინფორმი, 30 ივლისი

**არნო ხილირაპიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „დღეიდან ნებისმიერი ქართველისთვის, რომელსაც აზროვნება ჯერ კიდევ შერჩენია, ჯონ ბასი და შაჰ აბასი არის ერთი და იგივე! აშშ - ის ელჩს საქართველოში, ულვაშითა და „ბლანჟე“ წვერით ძალიან რომ ჰგავს ირანის იმ შაჰს, წუხელ ერთი სიტყვით შეეძლო სისხლისღვრის შეჩერება [მხედველობაშია 2011 წლის 26 მაისს არასანქცირებული აქციის დაშლა], თუმცა ეს არ გაუკეთებია.“

[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19851:2014-07-30-07-17-15&catid=109:arno&Itemid=538#ixzz39W975Xvq](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19851:2014-07-30-07-17-15&catid=109:arno&Itemid=538#ixzz39W975Xvq)

### საქინფორმი, 31 ივლისი

**არნო ხილირაპიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „ისეთივე ლატაკი, როგორც ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკია, ხორვატია, საბერძნეთი (სულ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნები!), მაგრამ ამაყი საქართველო ჯიუტად მისწრაფვის ევროკავშირთან სრული პოლიტიკური და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციისკენ... გადავა რა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში, საქართველოს მოუწევს, აწარმოოს და მოიხმაროს მხოლოდ ის პროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებს ევროსტანდარტს და ამით საბოლოოდ გააპარტახებს ისედაც სულთ-მობრძავ სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს.“

[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19884:2014-07-31-09-11-08&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz39nTzyZIG](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19884:2014-07-31-09-11-08&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz39nTzyZIG)

### GEWORLD.GE, 30 ივლისი

**ნანა ღვებარიაძე, ყოფილი სახალხო დამცველი:** “შეერთებული შტატები იმდენად გაათამამა დაუსჯელობამ, რომ დროთა განმავლობაში «მტკიცებულებების» შექმნაზეც აღარ იწყებდა თავს და მსოფლიო ჰეგემონის მანტიამოსხმული იმას აცხადებდა, რაც სურდა”...

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6085>

### GEWORLD.GE, 30 ივლისი

**კამელტ ჭიკაშვილი, პოლიტოლოგი:** „...უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება არის ნადირლების, პედოფილების, ნეოფაშისტების ხელისუფლება...“

ამერიკამ მუდამ მოგიზგიზე ცხელი წერტილი შექმნა [უკრაინაში] და რუსეთის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა გაუჩინა. სწორედ ამ მიზნით გამოიგონეს ისტორია, თითქოს მაღალიზიის ავიახაზების კუთვნილი «ბოინგი» სეპარატისტებმა ჩამოაგდეს.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6089>

### საქინფორმი, 29 ივლისი

„როგორც ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, კიევი აშშ-თან ერთად საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციას ამზადებს.“

[http://saginform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=19848:2014-28-&catid=109:arno&Itemid=538#ixzz39W0vBpOK](http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19848:2014-28-&catid=109:arno&Itemid=538#ixzz39W0vBpOK)

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 21 ივლისი

**ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]:** "ახლა ამერიკის დიქტატს დაემატა კიდევ

ბრიუსელიდან დიქტატი, ჰოდა იყავით ასე დიქტატში და ირბინონ გარკვეულმა

წარმომადგენლებმა ამერიკასა და ბრიუსელში. იქ არ გაკეთდება ქართული საქმე, არავითარ შემთხვევაში".

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2381971](http://www.myvideo.ge/?video_id=2381971)

გაგრძელება. დასაწყისი გვ.2

"მსხვერპლთშეწირვა") და იგი გარდაცვლილის მიერ თურქული სასწავლებლის დატოვებას და სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან მუქარას უკავშირდებოდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, მედია საშუალება ვალდებულია, ინფორმაცია სულ მცირე ორ დამოუკიდებელ წყაროსთან გადაამოწმოს, მით უფრო, როცა საქმე სადავო ფაქტობრივ გარემოებებს და მგრძნობიარე თემატიკას ეხება. აღნიშნული პუბლიკაცია მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლის ემოციურ განცხადებებს ეყრდნობა და არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან ფაქტების გადასამოწმებლად გონივრულ ზომებს მიმართა. მასალაში არც გამოძიების ოფიციალური ვერსიაა წარმოდგენილი, რაც მკვლელობის მოტივის შესახებ აუდიტორიის ინფორმირებას მოახდენდა.

ვთვლით, რომ მკვლელობის მოტივის შესახებ დაუზუსტებელი ვარაუდების გავრცელებას კიდევ უფრო ამძიმებს რელიგიური თემატიკის შემოტანა, რადგან უარყოფით მოვლენებსა და რელიგიურ კუთვნილებას შორის

დაუსაბუთებელი პარალელების გავლება და ერთი კონკრეტული ინციდენტის ასოცირება მთელ ჯგუფთან, სიძულვილის გავრცელებას და ისლამის მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, რისი გამოვლინებებიც ქართულ მედიაში ხშირად ანტითურქულ განწყობებს უკავშირდება.

მოვუწოდებთ ინტერნეტ-პორტალ ამბები.ge-ის და ჟურნალ "სარკის" რედაქციას:

- თანაზომადი ფორმით შეასწორონ გავრცელებული ინფორმაცია, რათა არ მოხდეს აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა და რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე სიძულვილისა და არატოლერანტობის გავლივება.

იმის გათვალისწინებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საწყისი განცხადების გაკეთების შემდეგ, რაც წინასწარ ინფორმაციას უკავშირდებოდა, არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საზოგადოების ინტერესი ამ გახმაურებული მკვლელობის მიმართ კვლავაც მაღალია, მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს

მთავარ პროკურატურას:

- მოახდინონ საზოგადოების და მედიის ინფორმირება გამოძიების შედეგების და მკვლელობის მოტივაციის შესახებ, რათა ინფორმაციის სიმწირემ ნოყიერი ნიადაგი არ შექმნას სხვადასხვა ვარაუდებისთვის, რაც საბოლოო ჯამში რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე შეუწყნარებლობას გააღვივებს.

მედიის განვითარების ფონდი, MDF  
რელიგიური ორგანიზაცია "ქართველ მუსლიმთა კავშირი" მალხაზ სონდულაშვილი, თბილელი ეპისკოპოსი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტიტური ეკლესია  
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, TDI  
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, EMC  
კავშირი "საფარი" იდენტობა  
კონსტიტუციის 42-ე მუხლი  
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

**მისალმებელია, რომ ამბები.ge-ს რედაქციამ აღნიშნული განცხადების საპასუხოდ ვებ-გვერდიდან მოხსნა ჟურნალ "სარკის" მიერ მომზადებული სადავო მასალა. ვთვლით, რომ ეს გადაწყვეტილება რედაქციის პასუხსმგებლიანი დამოკიდებულების გამოვლინებაა.**